

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია



მუხლი 1 - ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 2 - ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მფლობელობაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობა; დაწესებულებას აქვს საერთო, კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ, ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.
2. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; B და C ან A, B და C.
3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.
4. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.
5. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.
6. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
 - 6.1 თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ორი ძირითადი გარემოების არსებობას, A- სასწავლო გარემოსთან ერთად B სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ B სასწავლო გარემოში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით;
 - 6.2 თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს A სასწავლო გარემოსთან ერთად C სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-

- ს, არამედ C სასწავლო გარემოში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით;
- 6.3 თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სამივე გარემოს არსებობას, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება A, B და C სასწავლო გარემოში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.
7. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
 8. საწარმოო პრაქტიკის მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვის პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების საფუძველზე.
 9. 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.
 10. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული ჩასატარებელი კვირეული საათების გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო ცხრილის მიხედვით (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით კვირაში მაქსიმუმ 40 საკონტაქტო საათი).
 11. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A/B/C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A/B/C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.
 12. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.
 13. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასწავლო პროცესის მენეჯერის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს დაწესებულების დირექტორი.